



BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED

შავლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 03/17

ქ. ბათუმი,

27 მარტი 2018წ.

სასწავლო უნივერსიტეტში შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი 27 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით შემდეგ სამსახურებში:
 - კორესპონდენციის მართვისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (1 ვაკანსია);
 - საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახური (1 ვაკანსია);
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (1 ვაკანსია);
 - იურიდიული სამსახური (1 ვაკანსია);
 - მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი (1 ვაკანსია);
- სტაჟიორობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - სწავლობდეს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის ვაკანსიის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
 - იყოს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული
 - სრულყოფილად უნდა ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს.
 - სტაჟიორი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.

სტაჟიორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

 - მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.
 - წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი.
 - დეტალებზე ორიენტაციის უნარი.

სტაჟიორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

 - სტაჟირების ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითების შესრულება, სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში დახმარების გაწევა.

სტაჟირების ვადა: 3-დან 6-თვემდე
- სტაჟირების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ :
 - ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შესახებ ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

- ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე თანდართული სურათით.
- 4. სტაჟირება არის ანაზღაურების გარეშე.
- 5. კონკურსანტებთან გასაუბრება გაიმართოს 16-17 აპრილს.
- 6. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 18 აპრილისა.
- 7. საკონკურსო კომისია დაკომპლექტდეს შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
 - ბ) ლეილა ახვლედიანი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი (კომისიის წევრი);
 - გ) თამარ გაბელია - იურიდიული სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი).
 - დ) ნანა კუტუბიძე - საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
 - ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
- 5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 6. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ

